სსიპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბრძანება

18.09.15 № 174

სტუ-ს 2015 წლის 16 სექტემბრის №173
ბრძანების ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

I. შეიცვალოს „სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ“ სტუ-ს 2015 წლის 16 სექტემბრის №173 ბრძანების მე-7 მუხლი და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც არ გამოცხადდება ან არ გააფორმებს ხელშეკრულებას მე-6 მუხლში მითითებულ ვადაში, კარგავს 2015-2016 სასწავლო წლისათვის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას. გამოთავისუფლებულ ადგილზე ჩარიცხვის უფლებას მოიპოვებს რანჟირების დოკუმენტის მიხედვით მომდევნო კანდიდატი, რომელმაც ხელშეკრულება უნდა გააფორმოს 2015 წლის 23 სექტემბრის 17 საათამდე.“

II. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში და ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ს ვებგვერდზე.

III. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ვიცე-რექტორს ლ. კლიმიაშვილს.

IV. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზები:

ვიცე-რექტორი
ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის უფროსი
ი. ლომიძე

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის
უფროსი ბ. მაისურაძე